

კლიმატური ცვლილების გავლენა კონფლიქტის წარმოშობასა და
ესკალაციაზე (საჰელის რეგიონის ქვეყნების მაგალითზე)

ლიკა შათირიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლიკა შათირიშვილი
19.06.2025

აბსტრაქტი

კვლევა განიხილავს კლიმატის ცვლილების გავლენას საჰელის რეგიონში კონფლიქტის ესკალაციაზე და იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს განვითარების სხვადასხვა დონეები კლიმატ-კონფლიქტის ურთიერთობებზე. უფრო განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ჯგუფებად დაყოფილი საჰელის ექვსი ქვეყნის შედარებითი ანალიზის საშუალებით, კვლევა ადგენს მოქმედებს თუ არა კლიმატის ცვლილება საფრთხის მულტიპლიკატორად, რომელიც არაპროპორციულად მოქმედებს შეზღუდული ადაპტაციური შესაძლებლობების მქონე ქვეყნებზე.

კვლევა იყენებს თვისებრივ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიაზრებს შედარებით case study-სა და კონცეპტ ანალიზს 2019-2023 წლებში კლიმატის კონფლიქტის დინამიკის შესასწავლად. მონაცემთა წყაროები მოიცავს აკადემიურ ლიტერატურას, ინსტიტუციონალურ ანგარიშებს, პოლიტიკის დოკუმენტებს, მედიის გაშუქებას და კონფლიქტების მონაცემთა ნაკრებს, რომლებიც გაანალიზებულია სისტემატური თემატური ანალიზისა და ჯვარედინი შედარების გზით.

კვლევის ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ კლიმატის ცვლილება აძლიერებს არსებულ მოწყვლადობას და ზრდის კონფლიქტის რისკს საჰელში. კვლევა აანალიზებს, თუ როგორ ურთიერთქმედებს კლიმატით გამოწვეული გარემო სტრესები - მათ შორის, ნალექის ცვლილებები, ტემპერატურის მომატება და ექსტრემალური ამინდის მოვლენები - სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან კონფლიქტის დინამიკაზე ზემოქმედებით.

აღმოჩენები ცხადყოფს მნიშვნელოვან განსხვავებებს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში აშკარაა მეტი დაუცველობა, მითუმეტეს რესურსების გამო კონკურენციის, კლიმატთან დაკავშირებული დამაბულობის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების დაქვეითებისა და ადაპტაციის ღონისძიებების შეზღუდულ

ეკონომიკურ რესურსების ფონზე. უფრო განვითარებული ქვეყნები ავლენენ მეტ მდგრადობას უფრო ძლიერი მმართველობითი სტრუქტურების, დივერსიფიცირებული ეკონომიკისა და გაძლიერებული ადაპტაციის შესაძლებლობების მეშვეობით, თუმცა ისინი კვლავ მგრძნობიარენი არიან კლიმატთან დაკავშირებული უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ.

კვლევა ხელს უწყობს კლიმატ-უსაფრთხოების კავშირების სწორ აღქმას საჭელში, კლიმატ-კონფლიქტის ურთიერთობებში განვითარების ზომიერი როლის ემპირიული მტკიცებულებების მიწოდებით.

დასკვნით ივარაუდება, რომ კლიმატთან დაკავშირებული კონფლიქტური რისკების მოგვარება მოითხოვს დივერსიფიცირებულ მიდგომებს, რომელიც ეფუძნება განვითარების კონტექსტს, ხაზს უსვამს ინსტიტუციების მშენებლობას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და გაძლიერებულ ადაპტაციურ შესაძლებლობებს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი აუცილებელია დაინერგოს რეგიონული თანამშრომლობისა და ადრეული გაფრთხილების სისტემების შენარჩუნების პრაქტიკა.

****საკვანძო სიტყვები:**** კლიმატის ცვლილება, კონფლიქტი, საჭელი, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება.

Abstract

The study examines the impact of climate change on conflict escalation in the Sahel region and examines how different levels of development affect the climate-conflict relationship. Through a comparative analysis of six Sahelian countries, divided into more developed and less developed groups, the study determines whether climate change is acting as a threat multiplier, disproportionately affecting countries with limited adaptive capacity.

The study uses a qualitative methodology that incorporates comparative case studies and concept analysis to examine the dynamics of climate conflict between 2019 and 2023. Data sources include academic literature, institutional reports, policy documents, media coverage, and conflict datasets, which are analyzed through systematic thematic analysis and cross-comparison.

The study hypothesizes that climate change is exacerbating existing vulnerabilities and increasing the risk of conflict in the Sahel. The study examines how climate-induced environmental stresses – including changes in precipitation, rising temperatures and extreme weather events – interact with social, economic and political factors to influence conflict dynamics.

The findings reveal important differences. Less developed countries are more vulnerable, particularly in the context of competition for resources, reduced institutional capacity to manage climate-related tensions and limited economic resources for adaptation measures. More developed countries demonstrate greater resilience through stronger governance

structures, diversified economies and enhanced adaptive capacities, although they remain vulnerable to climate-related security challenges.

The study contributes to a better understanding of climate-security linkages in the Sahel by providing empirical evidence of the moderating role of development in the climate-conflict relationship.

The conclusion suggests that addressing climate-related conflict risks requires differentiated approaches that are context-specific, emphasizing institution-building, economic diversification, and enhanced adaptive capacity. In less developed countries, it is necessary to introduce regional cooperation and early warning systems.

****Keywords:**** Climate change, conflict, Sahel, environmental security.